

საქართველოს ყოველი მოქალაქე ქვეყნის რეალურ მესაკუთრედ უნდა ვაქციოთ

- რათა გამოსწორდეს საქართველოს მოქალაქეთა მატერიალური და ფინანსური მდგომარეობა;
- რათა მოქალაქეებს და ქვეყანას ხელი აღარ შეეშალოს თავიანთი სიმდიდრის ოპერატიულად მოხმარებასა და შემდგომ გამდიდრებაში;
- რათა ეკონომიკურად გაცოცხლდეს განადგურების პირას მისული, არარენტაბელურად, ხალხისა და ქვეყნისთვის უსარგებლოდ გამოყენებული ან სრულებით გამოუყენებელი ქონება;
- რათა შეწყდეს, „უფასო“ სახელმწიფო ქონების გამო, კერძო საკუთრებაში უკვე არსებული მატერიალური აქტივების გაუფასურება და მოხდეს მათი საინვესტიციო მიმზიდველობის მკვეთრი ზრდა;
- რათა შეწყდეს ერთეულების გამდიდრება სახელმწიფო ქონების პრივატიზების ხარჯზე და მაქსიმალურად აღმოიფხვრას შესაბამისად მოქმედი და შესაძლო კორუფციული რისკები;
- რათა ადმინისტრაციული, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მდგომარეობის ან ფინანსური სიძლიერის მქონე სუბიექტებს აღარასდროს შეეძლოს საზოგადოების დაუკითხავად და მისი ნების გარეშე საერთო სიმდიდრიდან რამის მითვისება;
- რათა მოხდეს „ბოლშევიკების“ მიერ ნაციონალიზებული და მოქმედი მთავრობების ხელში დღემდე უფასოდ შენარჩუნებული გიგანტური ქონების და შესაბამისი ძალაუფლების ასევე უფასოდ დაბრუნება უშუალოდ მოქალაქეთა ხელში - შეძლებისდაგვარად თანაბარი გადანაწილებით;
- რათა საქართველოს ყოველ მოქალაქეს გაუჩნდეს შესაძლებლობა, პირადი ფინანსური უზრუნველყოფითა და პასუხისმგებლობით, სახელმწიფოს სახსრების დაუხმარებლად, გამოავლინოს მრავალფეროვანი სამეწარმეო ინიციატივები.

მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ :

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეზე ყოველთვიურად გაიცეს 1000 ერთეული სპეციალური საინვესტიციო ფული - „ინვესტი“;
2. ნებისმიერი ქონება, რომელიც სახელმწიფოს მიერ გასაყიდად იქნება გამოტანილი, გაყიდულ იქნეს მხოლოდ ინვესტებზე, ღია, საყოველთაო ელექტრონულ აუქციონებზე, ლოტების ან აქციების სახით.